

ბედნიერები ვერ წერენ ლექსებს

გოგა ლომიძე

ლექსები

2017

ISBN 978-9941-27-550-0

9 789941 275500

გოგა ლომიძე

ბედნიერები ვერ წერენ ლექსებს

2017 წელი

ISBN 978-9941-27-550-0

მრავალჯერ მითქვამს და ახლაც იგივეს დავაფიქსირებ ჩემო საყვარელო მკითხველო!!!

წიგნიერება, სულიერება, პოეტური მგზნებარება თუ გადაარჩენს სამყაროს. არადა ყველაფერი, რასაც ღირებულება, ფუნდამენტალურობა გააჩნია ნელ-ნელა ირღვევა, იშიგნება, კოროზია ეკიდება. და რჩება მხოლოდ სული, იდეა, ცნობიერება. ეს სამი კომპონენტია ურყევი ფასეულობა, ჭეშმარიტების აკვანი კაცობრიობისა, რომელსაც კვებავს, ასაზრდოებს პოეზიის მახვილგონიერების ჯადოსნური კარიბჭე.

ჭეშმარიტო მკითხველო! მოდი მოუახლოვდი და შეაღე წიგნიერების მისტერიული კარიბჭე, აღიჭურვე ცოდნის და განსწავლულობის სიდიადით, რამეთუ აქ შეძენილი ცოდნის წყარო, დახუნძლული პოეტური მეტაფონებით, აუცილებლად გადაგიყვანს მწიგნობრობის და ინტელექტუალურობის მონოლითურ რელსებზე.

პოეტის, მწერლის, დრამატურგის, საზოგადო მოღვაწის და ა.შ. მიზანი და არსია გამოხატოს ფაქტების, მოვლენების თანმიმდევრულობა, ასახოს სათქმელში-სიუჟეტის განვრცობის ძირითადი ფაზები და ყველაზე მთავარი, მკითხველს დაუტოვოს ათწლეულებზე გათვლილი, ფასეულობებით აღჭურვილი შემოქმედებითი მარგალიტები. სწორედ, ამის შემდეგ არის შესაძლებელი მაესტრო-თვისი სამწერლო მისიით საკაცობრიო წარმატების კატეგორიაში მოვიაზროთ.

პატივისცემით: გოგა ლომიძე

Post Factum…

ჩემი შეგრძნება მინდა გაუწყო,
მსურს, რომ წარმოვთქვა სიტყვა მართალი.
ამ აღსარებას უნდა დავურთო,
Post Factum კიდევ განცდა ალალი.
მართლა არ ვიცი ხვალ რა იქნება,
რატომ იფეთქებს ვნებების ტალღა.
თუ რუტინული ჯახი იწყება,
სიკვდილის გზაზე მომიწევს გავლა.
ჩემი შეგრძნება მინდა გაუწყო,
გული გაგითბო კაშკაშა სხივით.
მინდა ოცნების სახლი გაჩუქო,
მკერდი გიმშვენო დედოფლის მძივით.
თუმცა დამთავრდა... უკვე ვინატრე.
უცებ დასრულდა მითოსში ყოფნა.
ჰორიზონტიდან მოსჩანს სინათლე,
ბედნიერების მე მიჭირს პოვნა.
და ხვალიდანვე მსურს, რომ გაუწყო,
საყოველთაო გრძნობების მარში.
ეს მონოგრამა დღეს, რომ დავიწყო,
ვგრძნობ გავეხვევი ნამდვილად შარში.
Post Factum კიდევ ბევრსაც ვიტყოდი,
გამოვხატავდი გრძნობას საჩინოს.
ბედნიერების განცდას ვცდილობდი
ყველგან ვეძებდი მას–თვალსაჩინოს!
მაგრამ ვერ ვპოვე, ვერ მივაგენი,
ვერ ავისრულე, რაც რამ მეწადა.
და წინაპართა რჩეული გენი
მსურს აღვაზევო ღმერთთან–ზეცადა!

2013წ.

ბედნიერები ვერ წერენ ლექსებს

ბედნიერები ვერ წერენ ლექსებს,
კომფორტში მყოფნი ვერ გრძნობენ სევდას.
წარსულით ვამსხვრევ მოყოლილ გრძნობებს,
დღეიდან ვიწყებ პამფლეტის წერას.
ბედნიერები ვერ წერენ ლექსებს,
თვით უბედონი ქმნიან შედევრებს.
წერის პროცესში ვერ ვიცავ წესებს,
არ ვუსმენ მლიქვნელ– მელექსე ენებს.
ბედნიერება ჩემთვის ლექსია,
გარითმული და სიტყვაკაზმული.
როგორც სამშობლო ერთადერთია,
როგორც კლასიკა კინო მხატვრული.
კოლხი–იბერის ყველა შვილები
თუში, კახელი, მეგრელი, სვანი
და სასიტყვეთის გიშერ–მძივები
ქალაქტიონი, მუხრანი, სხვანი...
არც კი ელტვოდნენ ბედნიერებას,
უიღბლო ბედის რაინდნი იყვნენ.
სამაგიეროდ ქმნიდნენ მშვენებას
და გენი მათი კვლავ და კვლავ ივლენ.
ბედნიერები ვერ წერენ ლექსებს,
ბედნიერები ვერ წერენ პროზას.
და გაუმარჯოს ყველა მათ შედევრს,
რომ შეგიჩნდება და გინთებს გრძნობას.
ბედნიერები ვერ წერენ ლექსებს,
ვერა და მორჩა, ეს ხომ ცხადია.
უბედონი კი დაწერენ, მენდეთ
და ეს ნაწერი ბედ–იღბლით სავსეა.

2013წ.

დროის წიაღში

დროის წიაღში მინდა შევიდე,
წარმოვისახო ნათელი მნათი.
სახარებაში ვიგრძნო მეშვიდე,
სპეტაკი განცდა, ყველაზე მზარდი.
აზრის წიაღში უნდა შევიდე
და დავინახო საზრისი მნათი.
არ მსურს გამოვყო მხოლოდ მეშვიდე,
მინდა დავიცვა მცნებები ათი.
დროის წიაღში მსურს, რომ შევიდე,
ლაბირინთებში გადავიკარგო.
სიბრძნეს ვაფრქვევდე ვით ევრიპიდე,
ცოდნის კარიბჭე მსურს დავინახო.
მინდა გონების უჯრა შევაღო,
აღმოვაჩინო ჩანაფიქრები.
მე, როგორც ბავშვი, ისე შემაქო
და ჯადოსნური მითხრა მითები.
მე კიდევ მინდა... მაგრამ, როდემდე,
ან და სადამდე გავყვე ამ ფიქრებს?!
ადიდებული ტალღების ფონზე,
უწყვეტი ექო მოაქვთ ამ ზვირთებს.
ჩემი აზრების დრო აქ დამთავრდა,
სწორედ აქ ჩამწყდა განცდების აბგა.
სიცოცხლის განცდა უცებ განელდა,
"ჩემი დრო მორჩა"– მარტყია აბრა.
ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს რა დრო დადგა!!!

2013წ.

“სიქსტეს მადონა”

ძნელი ყოფილა, მე კი მეგონა...
სახეშევცვლიდი კაცობრიობას.
როცა გენიამ შექმნა მადონა,
გულწრფელად ვუხდი მის სულს მადლობას.
აი, აქ შეცდა დიდი მაესტრო,
ვერ მოიპოვა ბედ–იღბლის ნდობა.
ბედისწერამ კი, არც კი დაინდო,
იუბილეზე უეცრად მოკლა.
ძნელი ყოფილა, მე კი მეგონა...
დიდია მართლაც შედევრების გზა.
წმინდა მადონას ცრემლი სდიოდა,
რომ არ ესმოდათ შემოქმედის ხმა.
სული უკვდავი მელანდებოდა,
ზებუნებრივად მართლაც შევრაცხე.
”სამი გრაცია”, ”სიქსტეს მადონა”,
პასტელის ფერში გავაფერადე.
და ხელოვანმა კვლავ გაარღვია
ნიჭიერების მავთულ–ხლართები.
”საღებავების სისხლი” ადინა
”სიქსტეს მადონას” გვამცნო ამბები.
რომ, დღეს დახატა ოცნების ქალი,
მოქარგა თეთრი კამელიებით.
წარმოაჩინა სევდა და დარდი,
ტილო გაათბო ფუნჯის რითმებით.
და ეს სურათი ფანტასტიკური,
საუკუნეებს კიდევ გაუძლებს.
”სიქსტეს მადონა”– მართლაც ღვთიური,
მის უკვდავებას კვლავაც გვაუწყებს!

2013 წ.

გენიოსების საყდარი

გენიოსების საყდარში მოვხვდი,
ცოტა ხნით, თუმცა, მაინც გავოცდი.
გამომეცხადა თვით ღმერთი გონში,
და მე წარსულში აწმყოს არ ვუცდი.
გენიოსების საყდარში მოვხვდი
და განმაცვიფრა მისმა დიდებამ.
წიგნიერების აკვანში მწოლი,
მნათი შემტყორცნა დედა ბუნებამ.
რა მადლიანი, რა აზრიანი,
შეგრძნება ჟამთა სასუფეველის.
კეთილზნე კაცი, თუმც დარდიანი,
რწმენას ერთგულობს ნაზარეველის.
გენიოსების საყდარში მოვხვდი,
უცებ მომესმა განცდით ვედრება.
ადამის მოდგმავ სითბოთი მოდი,
უფლის ნაბოძი მადლი შეგხვდება.
დიდი მადლობა უფლის სავანეს,
ოდეს აღტკინდეს მისი დიდება.
და ჩემს ორჭოფულ შეგრძნებებს მავნეს,
სათავის წყარო უკვე ეცლება.
გენიოსების საყდარში მოვხვდი,
ზიარ სულს მარად არდავიწყება.
კეთილო აზრო ჩემთანაც მოდი,
მოყვასის რწმენა განმიმტკიცდება.
გენიოსების საყდარში მოვხვდი,
ო, ღმერთო ჩემო დიდი მადლობა.
და საწაული განცდებით მოდი,
კვლავ მაგრძნობინე უფლის წყალობა.
გენიოსების საყდარში მოვხვდი...

2013წ.

ეკვატორს გასცდა...

ეკვატორს გასცდა ჩემი გრძნობები
და რა თქმა უნდა ეს მიხარია.
დგება ზამთარი, უკვე ვღონდები,
ცივსისხლიანი იანვარია.
და ისევ წარსულს შევეხმიანე,
გავუნდე გულის თბილი აზრები.
ვთხოვე წარსულო–რამე მიამბე,
მტყორცნე მაცდური დითირამბები.
ეკვატორს გასცდა ჩემი ხმის ექოც,
მარტოსულობის წელიწადში ვარ.
აქ მდებარეობს ეს საიქიოც
და მის კარიბჭის ზღვარზე დავდივარ.
ეკვატორს გასცდა ჩემი თავნება,
ჩემი მგზნებარე ემოციები.
ზამთარია და თოვლი არ დნება,
კეკლუცობს, ანცობს,ლურჯი იები.
ყველაფერს გასცდა, რაც კი არსებობს,
რაც მოუხაზავთ ყველა საზღვრები.
გაღმა ნაპირზე დეკა ყვავილობს,
გულში კი ფეთქავს ყოჩივარდები.
ეკვატორს გასცდა ჩემი გრძნობები,
ახალგაზრდობის ეს შთაგონებაც.
და თუ ოდესმე შენ დაღონდები,
იქვე ღონდება ჩემი გონებაც.
და ისევ წარსულს შევეხმიანე,
ვთხოვე– გამათბე წრფელი განცდებით.
ობოლი ბარტყი დავაფრთიანე,
ეკვატორს ვაფრენ კარგი ამბებით.
ეკვატორს გასცდა ჩემი გრძნობები...

2013 წ.

ვიღაცა ვიღაცის...

ვიღაცა, ვიღაცის, გრძნობებს მიყვება,
ამავე გრძნობების იმედად რჩება.
და ყველაფერი თავიდან იწყება,
როცა, ემოციას თან მოსდევს გზნება!
ვიღაცა, ვიღაცის–''ლავსთორს" მიყვება,
ვიღაცა გრძნობების ამარა რჩება.
სევდანარევი ღიმილი მიჩნდება,
როდესაც, ეს გრძნობა თოვლივით დნება.
ვიღაცა ნაგრძნობ შეგრძნებებს მიყვება,
შემდეგ კი განიცდის და სასმლით თვრება.
კვლავ ყმაწვილკაცი, რომ ვიყო მინდება,
მაგრამ, სასწაული ცხადში არ ხდება.
ვიღაცა ვიღაცის გრძნობებს მიყვება,
და განცდილ გრძნობებში ვნებები ჩნდება.
ერთგული მეცხედრის მანტია მიხდება,
მაგრამ სიყვარული ვაგლახ, რომ კვდება!

2013წ.

ძილის სამეფო

მე მეძინება...თუმც მეცოდება,
ამდაგვარი სამყაროს მოდელი.
მე მეძინება...თუმც მებრალება,
დღევანდელი ცხოვრების მომსწრენი.
მე მეძინება...თუმც მეზიზღება,
უკიდეგანო ღვარძლის შეგრძნება.
და როცა კვლავაც დამეძინება,
სიზმარეთში სიკეთე შემხვდება.
მე მეძინება, თან მეტირება,
რასაც ვუყურებ, გულით აღვიქვამ.
მეძინება და ბევრს ეცინება
და ამ სიცილსაც, ალბათ ავიტან.
მე მეძინება, კვლავ მეტირება,
ცრემლები ჩანაფიქრებს მანდობენ.

ძილის შემდეგ, თუ გამეღვიძება,
ჭინკები ახალ ამბებს მამცნობენ.
მეძინება და არ მეტირება...
ძილის სამეფო საზღვრებს სცილდება.
ბედნიერება ძილში ღრმავდება,
ძილის პასაჟი აქვე მთავრდება.
მე მეძინება...

2013წ.

სი-ბე-რე...

უკვე ვბერდები, გარდუვალია...
წლები მიჰქრიან, როგორც ცხენები.
და ის ულაყი, თეთრი მუსტანგი,
ველურ წიაღში თავის უფალია.
უკვე ვბერდები, დროს ვერ ვეწევი,
მზეჭაბუკობამ ზურგი მაქცია.
ქალის სურნელით სტუმრად გეწვევი
და შეგაშინებ, როგორც მაქცია.
უკვე ვბერდები, გარდუვალია...
წლები გარბიან, როგორც ცხენები.
ახალგაზრდობა–საჩუქარია,
ძველგაზრდობა კი– მწიფე ვნებები.
უკვე ვბერდები, ეს, ხომ ცხადია,
წლებს თან მიყვება ღვარძლი ენები.
ახალგაზრდობის საჩუქარია,
ახლად განცდილი ეს შეგრძნებები.
დროის ზმანება რიჟრაჟს ემალვის,
მზის თვალს ებაძვის ვარსკვლავთა კრთომა.
მთვარის სინათლე კოსმოსს ესწრაფვის,
მე სიბერეში არ მინდა კვდომა.
ჭაბუკობაში უნდა დავბერდე,
უნდა დავძლიო სიკვდილის ველი.
ვით აპოლონი მსურს, რომ გავღმერთდე,
შევაზანზარო ცისკარი მთები.
ვაჰ, მე ცხოვრებავ, რა უნდობი ხარ,

როგორ არ გინდა სიბრძნე მასწავლო.
ჰო, ვაღიარებ, უტიფარი ვარ
და მძულს ცოდვებით სავსე სამყარო.
უკვე ვბერდები, გარდუვალია...
მეც დავასრულებ მიწიერ ყოფას.
და დედამიწა თუ ბრუნვადია,
სიცოცხლის სახლში ვისურვებ ყოფნას.
ვგრძნობ, რომ დავბერდი ეს ვაღიარე
ასე უეცრად რა დრო გასულა?!
ახლის ძიებით ბევრი ვიარე
თუმც, არ მივიწყა ჩემმა წარსულმა!
უკვე დავბერდი, მე ვაღიარე,
მაგრამ ვამაყობ სუფთა წარსულით.
ფათერაკების გზა გავიარე
და დავამთავრებ ამ გზას ქართულით!!!

2013წ.

დუმილმა დაიწყო როკვა

დიდი მუხრანი წავიდა...
მაგრამ ჩემში ცოცხალია.
დიდი ლეგენდა დასრულდა,
მაგრამ ჩემში უკვდავია.
დიდი მუხრანი დადუმდა...
მაგრამ ჩემში ხმაურია.
და მის მშობლიურ მხარეში,
ლექსთა აურზაურია.
დიდი მგოსანი გაჩუმდა...
ქართველნო თქვენც გაიყუჩეთ.
წყაროს სათავე გამრუდდა,
მუზათ წყალობა მისურვეთ.
არგვეთს აუწყა მაცნემა,
დიდი მუხრანი წავიდა...
და ბოღმიანმა განცდებმა,
პოეტთა სივრცე წალეკა.
ვაგლახ, შე წუთისოფელო,

გულქვა, ავზნე და ავხორცო.
დაუნდობელო მომხდურო,
ჩვენ როდის უნდა დაგვხოცო?!
საკრალური ბედისწერა
მუხანათურად მოექცა.
სიტყვის ოსტატი ბერმუხა,
წმინდა სცენაზე დაეცა.
იგრიკას დაბადებული,
ზებუნებრივად შობილი.
ზე კაცად გაცხადებული,
ყველა პოეტთა ძმობილი.
ვარდობისთვეო რა გითხრა
დაუნდობელი ყოფილხარ.
ჩვენი მუხრანი სად მიგყავს?
დედისგან შენ არ შობილხარ?!
ლექსის რითმების მაესტრო,
თავადიშვილი გვარითა.
მის სპექტაკლს უნდა დაესწრო,
გონიერებით, მრწამსითა.
დიდი მუხრანი წავიდა...
პოეზიის მოჰიკანი.
მისტიკურ საზღვრებს გასცილდა–
გენი მაჭავარიანი!!!
დუმილმა როკვა დაიწყო,
გაანადგურა სიკეთე.
მტერს მტრულად უნდა განეწყო,
რომ მშვიდად განვლო სიბერე.
დუმილმა დრეკა დაიწყო
დაასამარა სიცოცხლე.
ობოლო ლექსო რა იყო?
ნურას იქნები მეხოტბე.
დიდი მუხრანი წავიდა...
წალეკა ფიქრთა სამყარო.
სიკვდილმა კვლავაც იკითხა:
მუხრან ბატონო– სად ხარო?!
ზეცას მივუვალ ოცნებით,

დავაფიქსირო კაცობა.
სიკეთითა და მოთმენით,
ღმერთმა გიბოძოთ წყალობა.
დიდი მუხრანი წავიდა...
სამოთხის კარი შეაღო.
ჯერ ცოტა წელი გავიდა,
მაგრამ, ის უნდა შევაქო.
დიდი ლეგენდა დასრულდა,
მაგრამ მარად უკვდავია.
მუხრანის გენი წავიდა,
მაგრამ სული ცოცხალია.
დიდი მუხრანი წავიდა...
მისმა მადლმა კი იარა.
ყოველმან მისმან მპოვნელმან,
ზნეობის გზა გაიარა.
ერის დიდება წავიდა,
სიტყვის საუნჯე, ხატმწერი.
იმ დღიდან გულში გაწვიმდა,
ღმერთმა უცხონოს გამჩენი.
დიდ კაცს სიდიდე ჭირდება
და არა რამე კვარცხლბეკი.
მუხრანის სული ბრწყინდება,
სანთელი მნათობს კანდელში.
დიდი მუხრანი წავიდა...
ზეციურ სასუფეველში.
აზრის ეპოქა დასრულდა,
ამ ჯადოსნურ სასიტყვეთში.
დიდი მუხრანი წავიდა...

2013წ.

ფოთოლცვენა

ფოთოლცვენაა, ცივი ამინდი
და შეგრძნებათა სიო მღელვარებს.
ნარიყალასთან კიდევ დაგიცდი,
ღრუბლებით სავსე ცა კი ელვარებს.
ფოთოლცვენაა, სუსტი ქარია
და შემოდგომამ თავი იჩინა.
ჩემს გულში დღესაც თბილა, დარია,
ვგონებ, რომ გაჭრა შენმა ჩიჩინმა.
მზეთა მზე თბილო, ამომავალო,
გულთამპყრობელო, ვნებით ნანატრო.
სავსე მთვარეზე უნდა დაგხატო
და ჩემი ნატვრა მალე გაგანდო.
ფოთოლცვენაა, გულში დარია,
ზეციურ მსგეფსის ამონათება.
მელანქოლიამ დარდი არია,
ერთფეროვნებამ გრძნობის ნათება.
ფოთოლცვენაა, ცუდი ამინდი
და შეგრძნებათა სიო მღელვარებს.
ნარიყალასთან დღესაც დაგიცდი,
ეს მოღრუბლული ცა კი ელვარებს.
ფოთოლცვენაა, ცივა,ქარია...

2013წ.

ფრანგული კოცნა

შენი ფრანგული კოცნა,
მინდოდა მეგრძნო დღესაც.
ვატყობ მომიწევს მოცდა,
მზერას შეგტყორცნი დღესაც.
შენი ფრანგული კოცნა,
რომანტიკული გზნებით.
ტანი ლამაზი, კოხტა,
დაგეუფლები ვნებით.
შენი ხანმოკლე კოცნა,
გულწრფელი, თუმცა ცივი.
იქნებ არ ღირდეს მოცდა,
საღამო დგება მშვიდი.
შენი ფრანგული კოცნა,
ალისფერი და მწველი.
განდიდება და ხოტბა
ჩემთვისაც საკვირველი.
შენი ფრანგული კოცნა...

2013წ.

მონანიება

ბევრი ცოდვა მაქვს და ვაღიარებ,
ეს სიყვარული მე თუ მიშველის.
სიყმაწვილიდან გაიდიალებ,
მაგრამ ვის უნდა გრძნობა შიშველი.
ბევრი ცოდვა მაქვს და ვაღიარებ,
ხვალ რა მომელის, რა მეშველება?!
ბედის ძიებით თავს არ ვიწვალებ,
ნეტავ რა დილა გამითენდება.
ბევრი ცოდვა მაქვს და ვიზიარებ,
რომ ჩადენილი მოვინანიო.
ხვალ თუ ზეგ ვიცი ბევრსაც ვინანებ,
რომ არ მოვიცხე უფლის მადლიო.
გარდამოხსნისა, სულთმოფენისა,
ღმერთის სიწმინდის მატარებელი.
თორმეტი ბერი მოციქულისა,

ვაგლახ, რომ ვერ ვარ აღმსარებელი.
ბევრი ცოდვა მაქვს, ვიცი, ვინანებ
და შემდეგ მწარედ გამეცინება.
მომავალში კი, იმას ვინატრებ,
ნეტავ უფალი ჩემთან იქნება?!
ბევრი ცოდვა მაქვს, ეს ხომ ცხადია,
ალბათ, იმ ქვეყნად ცოდვებს წავიღებ.
სიკეთის თესვა ვიცი მადლია,
ვკვდები უფალო და თან გადიდებ!!!

2013წ.

ჩემს დროს...

ჩემს დროს არ იყო ასე,
ცხოვრების რიტმის ექო.
ქუჩები იყო სავსე,
სითბოს აფრქვევდა ეზო.
ძველ დროს არ იყო ასე,
ყინულისფერი მზერა.
ოცნება მტყორცნი მთვარე,
კარმული ბედისწერა.
სიყრმისეული ეზო,
ბავშვობის თბილი კერა.
გოგას უყვარდა მზეო,
გიგლას კი ანცი თეკლა.
ჩემს დროს არ იყო ასე,
სიწმინდის მუხტი ენთო.
და ამ უცოდველ ბავშვებს
გაზრდილებს უკვე ვერ ვცნობ.
ძველ დროს არ იყო ასე,
ალბათ, დრომ მოიტანა.
გალღვა გულები სავსე,
ძმამ ძმას დაარტყა დანა.
ჟივილ-ხივილი გაქრა,
მადლს კი შეკვეცეს ფრთები.
მზე შემოდგომის ჩაქრა,

და ამ ყველაფერს ვხვდები.
მე უძლური ვარ მაინც,
რომ დავაბრუნო ეს დრო.
წარსულში იყო კარგიც,
ამიტომ ამ დროს ვერ ვთმობ.
ჩემს დროს არ იყო ასე,
მორჩა, დასრულდა ერა.
გული დარდით მაქვს სავსე,
ახდა ის, რაც მეწერა.
ჩემს დროს არ იყო ასე...

2013წ

ლექსის სტროფებად მოვალ...

ბავშვობიდანვე მინდოდა,
ლექსები მეწერა რამე.
ვყოფილიყავი პოეტი,
და მეხეტიალა სადმე.
ბავშვობიდანვე მინდოდა,
ბესტსელერები მეწერა.
დანამდვილებით მჯეროდა,
რაც –მოხდებოდა მეწერა!
დიდი ხანია მინდოდა,
კვლავაც დამეწერა რამე.
ვყოფილიყავი პოეტი,
ლექსები მეთქვა მე–ღამე.
ბავშვობიდანვე მწყუროდა,
ნამდვილი გრძნობა მეპოვნა.
ბედი თავისთან მიხმობდა–
"ძნელ ბედს მოგიწევს შენ ყოფნა".
წარსულიდანვე მინდოდა,
ლექსების წიაღში ყოფნა.
უწიგნურობა მტკიოდა,
სულზე კი, მძლავრობდა ყოფა.
ბავშვობიდანვე მინდოდა,
სიკეთის კასრი მეპოვნა.

სასწაულების მჯეროდა,
არ მსურდა მეორედ მე მოსვლა.
რა დავიბადე მინდოდა,
ცოდვილი სამყაროს გრძნობა.
ბედი თავისთან მიხმობდა–
“მოგიწევს მეორედ მოსვლა”.
არ დავმალავ, რომ მინდოდა,
რითმების წიაღში ყოფნა.
და აჰა, ნატვრა აღსრულდა,
ლექსების სტროფებად მოვალ!!!

2013წ.

შემოდგომაა, დედოფლობაა

შემოდგომაა, შემოდგომაა,
მწველი აზრები სულში მიტევენ.
ჩემთვის დღესაც კი წმინდა შობაა,
ცოდვის თვალები მზერით მიცქერენ.
შემოდგომაა, შემოდგომაა,
ფოთლების სუნი ჩემშიც შემოდის.
მარადიული მხოლოდ შობაა,
უკვდავი განცდა ოთხივ სეზონის.
შემოდგომაა, შემოდგომაა,
გულებს სჭირდებათ გრძნობით ანთება.
უვიცი კაცი–ბნელში დგომაა,
განსწავლულობა ღმერთის განგება.
შემოდგომაა, დედოფლობაა,
გამოვიგონე დღესასწაული.
დაე, იხარეთ ქალბატონებო,
დღეს აისრულეთ ყველა წადილი.
შემოდგომაა, დედოფლობაა,
ბედნიერების სიო უბერავს
ჩემი ტიტული გულთაპყრობაა,
ახალ სიცოცხლეს სულს, რომ შთაბერავს.
შემოდგომაა, დედოფლობაა,
მიჯნურობა, ხომ უკვე ცოდვაა.

ღმერთთან კონტაქტი რეალობაა,
ეს სიტყვები კი ზოგჯერ ბოდვაა.
შემოდგომაა, დედოფლობაა,
რიტუალები მრავალჟამიერ.
ეს ყოველივე ხატთან ლოცვაა
და კათარზისი ცოდვილთა მიერ!
შემოდგომაა, დედოფლობაა,
ენკენისთვეა ზღვარგადასული.
და ახლა სწორედ გრძნობის ფლობაა,
მტარვალი ვნება, მართლაც ავსული.
შემოდგომაა, დედოფლობაა,
ვგონებ, სრულდება პრეზენტაცია.
სიტყვის საუნჯე აზრთა ფლობაა,
მადლს კი ვინც თესავს–ყველა კაცია!!!

2013წ.

დარაბებს მიღმა...

დარაბებს მიღმა გაზაფხულია,
მზე მშვიდობისა ანგელოზებო.
ჩემს გულში ამ დროს სულ ზაფხულია,
გამიხალისეთ დილა მგოსნებო.
დარაბებს მიღმა გაზაფხულია,
გამიათკეცდა ანცი შეგრძნება.
და თუ ცხოვრების დასასრულია,
ზეგარდმო მადლი დღესვე შეწყდება.
დარაბებს მიღმა გაზაფხულია,
დილა მშვიდობის ანგელოზებო.
სამყაროს აღქმა სასწაულია,
ღმერთი ჩვენთან არს ტარტაროზებო.
სამყაროს მიჯნას დასასრულია,
ჰორიზონტზეა მთვარე მომდგარი.
ცის კაბადონზე რკალი სრულია,
ცოდვის წარღვნაა უკვე მომხდარი.
სამყაროს მიჯნას დასასრულია,

დედამიწელი ფორთხავს მოკვდავი.
დარაბებს მიღმა სულ უკუნია,
რაღას მაწვალებ ღმერთო მომკალი!
დარაბებს მიღმა იყო ზაფხულიც
და კარგად მახსოვს იყო მოლხენაც.
მაგრამ მის შიგნით იყო ავსული,
რომელმაც მოსპო სიკეთეც, რწმენაც.
დარაბებს მიღმა გაზაფხულია,
მზე თავის სხივებს კვლავაც შეგვტყორცნის.
ცხოვრება უკვე სასწაულია,
როცა ღვთის ძალა ჩვენშიც შემოდის.
დარაბებს მიღმა სიყვარულია,
გრძნობა მტარვალი, გრძნობა ალმური
და ყოველივე ღირებულია,
როცა კაცს ახსოვს თავის მამული.
დარაბებს მიღმა წმინდა სულია,
მე კი გახლავართ ერთი მოკვდავი.
ამ წმინდა სულში–სუფთა გულია,
გული მფეთქავი, მარად ცოცხალი.
დარაბებს მიღმა სიყვარულია...

2013წ.

... კიდევ მინდოდა, მსურდა...

პირველი სიტყვა მკაცრი,
შენგან ნატყორცნი მყისვე....
ცალმხრივი გრძნობის დარდი,
ერთგული, როგორც ვით ტყვე.
პირველი ანცი ბგერა,
ფიქრის კოსმოსში გზავნა.
იწყება ახალი ერა,
გრძნობის ზერელე მართვა.
პირველი იყო სიტყვა,
შემდეგ ამ სიტყვის რწმენა.
უცხომ სიზმარში მითხრა,
იგრძენი აღმაფრენა.

რაც პირველია–მახსოვს,
სიყვარულია–მაწყობს.
საკვირველია–მომწონს,
ჩვენთანაც მალე მოთოვს.
პირველი სიტყვა– მკაცრი,
მეორე– ნაზი გრძნობა.
ხელოვან ხალხთა დასში,
აკრძალულია ლტოლვა.
კიდევ ბევრი რამ მსურდა,
გამომეხატა, მეთქვა...
ოდესღაც ჩემშიც ქუხდა,
ცრემლად მდიოდა სეტყვა.
კიდევ ბევრი რამ მსურდა,
გამომეხატა, მეთქვა...
ცხოვრება ერთ დროს დუღდა,
ახლა კი მორჩა, შეწყდა.
კიდევ ბევრი რამ მსურდა,
თქვენთვის მეამბო, სწრაფად.
ნუთუ ბევრი რამ უნდა,
განცდა ასახო აზრად.
კიდევ მინდოდა, მსურდა,
თქვენთვის მომეთხრო, მეთქვა...
ვისაც კი მადლი უნდა,
ახლოს იყავით ღმერთთან.
კიდევ მინდოდა, მსურდა,
მაგრამ... ვინ გაცდის ამდენს.
ამბის მაცნეც დადუმდა,
ვეძებ სამყაროს გამჩენს!!!

2013წ.

განწყობის აკაციები

გუშინდელმა დღის ზმანებამ,
გამიხალისა განწყობა.
და ერთმა გოგო თავნებამ,
შემომთავაზა ანცობა.
მე მას მივართვი ანაზდად,
განწყობის აკაციები.
და დავინიშნე თავადად,
ვაჩუქე ოვაციები.
განწყობის აკაციები,
ზღაპრულ მითოსის ქვეყნიდან.
პაციფისტთა აქციები,
მართული მარსის ცენტრიდან.
მე მას ვაჩუქე ანაზდად,
ოცნების აკაციები.
დავნიშნე გულის თავადად,
ფეხთით ვუბნიე მძივები.
მე მას ვაჩუქე მარად და
მარად უჭკნობი იები.
ჩემმა ქალღმერთმა თავადმა,
მტყორცნა მზაკვრული ფიქრები.
მე მას ვაჩუქე გულის თქმა,
გრძნობების მთელი სამყარო.
ყველაფრის არ მსურს ახლა თქმა,
მასთან, რაც უნდა ვამყარო.
განწყობის აკაციები,
თავადის გულის ფიქრები,
გიშრისთვლიანი მძივები,
კაშკაშა ემოციები.
ეს ყველაფერი კარგია,
ბედნიერებით ვტატანობ.
წარსული ზოგჯერ დარდია,
ზოგჯერ აწმყოსაც ვღალატობ.
მე მას ვაჩუქე ანაზდად,
განწყობის აკაციები.

ჩემმა ქალღმერთმა თავადმა,
მთხოვა ცისფერი იები.
მაინც მაჩუქა თავადმა,
ღვთისგან ნაბოძი ვნებები.
მარტოსულობის დარაბა
დახურა, მითხრა-გნებდები!!!
მე მას ვაჩუქე ანაზდად,
გრძნობების მთელი სამყარო.
თავადმა მითხრა თამამად,
ამურის თასი დავცალო.
გუშინდელმა დღის ზმანებამ,
ახალი გრძნობა მაჩუქა.
სამყაროს დედა ბუნებამ,
წარღვნის შესახებ მაუწყა.
გავანებივრე ანაზდად,
განწყობის აკაციებით.
გავაფეტიშე თავადად,
ქალღმერთი კამელიებით.
მე მას ვაჩუქე ცხოვრება,
ვუამბე ძველი მითებიც.
და ყველა კაცი ცხონდება,
ვინც კი სუფთაა ფიქრებშიც.
მე მას ვაჩუქე ანაზდად,
ემოციების სრულყოფა.
თუმცა აღარ ღირს ხაზგასმად,
მიჯნურობა, რომ მეტყობა.

2013წ.

იღბლის დირიჟორმა განმიცხადა...

რატომღაც განწყობა შემეცვალა
და საწერ მაგიდას მივუჯექი.
ძველი ნოსტალგია მომეძალა,
ცხოვრებას კაცი რას მიუხვდები.
კვლავაც შორეთში გადამტყორცნა,
წარსულში განცდილმა შეგრძნებებმა.
მზემ თავის სითბო შემომალოცა
ჭრილობას მალამოდ ეამება.
ვაჰ, მე წუთისოფელს რა ვუთხარი,
დღემდე თავს ვგრძნობ ასე განდეგილად.
და ეს ბედისწერა გარდუვალი,
ჩემთვის იქცა მტანჯველ ქარტეხილად.
როგორღაც განწყობა შემეცვალა,
უკეთეს მომავალს მოველოდი.
სააქაოს თუ უნდა მეწვალა,
ღმერთმანი, ნამდვილად არ ვიცოდი.
იღბლის დირიჟორმა მანუგეშა
ცხოვრების სირთულეს გაუძელი.
ჩემმა ალტერ ეგომ განუყრელმა
დამაწერინა ლექსის კუპლეტი.
სიზმრის ხილვა სრულად ამიცხადდა,
ჩემი ბედიც მალე გაბრწყინდება.
იღბლის დირიჟორმა განმიცხადა–
მალე რექვიემიც დაიწყება!

2013წ.

ექო წარსულიდან...

თურმე ყველა ფერი რა რთული ყოფილა,
მე ყველა ფერი დეკადანს გავატანე.
გამომეცხადა დღეს მუნკი წარსულიდან,
“ყვირილი” მომესმა პიკასოს სართულიდან.
მეგონა მხატვრის მუზა კვლავ იფეთქებდა,
ჯადოსნური ფუნჯით შედევრს დავხატავდი.
მაგრამ იმპრესია ჩემშიც აღმოცენდა,
და კვლავ სიურიალიზმში გადავარდი.
თურმე ყველა განცდა ხანმოკლე ყოფილა,
მზისა ონავარი სითბოს ვაგროვებდი.
ვან გოგი გოგენთან ისევ დაძმობილდა,
შთაბეჭდილებიდან ჯერ ვერ გამოვედი.
თურმე ყველაფერი რა ძნელი ყოფილა,
იცი? ყველაფერი ძველ წელს გავატანე.
და ჩემში წარმატება იმ წამს მოვიდა,
რა წამს კონტაქტი უფალთან დავამყარე.
მადლის რიგში მდგარი ჯერ სხვა გავატარე,
ძმობა სიკეთეა, მაგრამ შეფარული.
დიდი რუდუნებით, კრძალვით გავატანე,
ლოცვით შეგროვილი უფლის სიყვარული.
ექო წარსულიდან უმალ შემოიჭრა,
გონი ამირია, გული ამიჩუყა.
ვან გოგმა გოგენთან კვლავაც წაიჩხუბა,
გენიოსობა ისტორიას აუწყა.
ექო წარსულიდან ჟამი მზაკვრულია,
ჟამი წარმართული, სისხლიანი.
მხატვრის ცხოვრება ზოგჯერ ტრაგიკულია,
და ამას მოწმობს თავად მოდილიანი.
თურმე დეკადანსი მხატვრისთვის რთულია,
სული ხელოვნების შემოქმედს ვამსგავსე.
ჩვენი ნიკალა მართლაც სასწაულია,
როგორ მინდოდა ფიროსმანს დავეხატე.
დროში გაწელილ მხატვარსაც რა ვუთხარი,
სხვადასხვა მიმდევრობას რომ ეპოტინება.

ჩვენი ფიროსმანი ხატავდა დუქანში
და ყველა ქართველში ის მოგვევლინება.
ექო წარსულიდან ჟამი მზაკვრულია,
ჟამი ხანდაზმული, ცოდვიანი.
ჩემში რემბრანდტი მუდმივად ცოცხალია,
ზოგჯერ კი ბობოქრობს ფრანგი–პოლ სეზანი.
და ეს ყველაფერი მართლაც მზაკვრულია,
უსწორმასწოროა თურმე სამართალი.
თუკი ველასკესი დიდი მხატვარია,
მხატვართ გილდიაში ნიკალა სად არი?!
ეჰ, ეს ყველაფერი რა უცნაურია,
რა შერჩევითია სამართალი.
როდესაც ფრიდა კალო ჯადოსნურია,
მხატვართ კოჰორტაში ნიკალა სად არი?!
მაინც მჯერა და მწამს დიდი მხატვარია,
კაცი ბუმბერაზი, ხატვის დიდოსტატი.
ამ დიდ შემოქმედში ის თვითნასწავლია,
გასაოცარი აქვს მას ფერთა კონტრასტი.
მისი სახელობის ქუჩაც კი არსებობს,
თუმცა, ვაღიარებ, რომ მოუვლელია.
ნიჭი მოჰიკანი ამაყად თავნებობს,
ნიკალას სიდიდე უზომოდ ვრცელია.
ფერთა სიდიადე ხელოვნის რთულია,
გენიის კვარცხლბეკზე ბობოქრობს ნიკალა.
იმ ქვეყნად უკვდავი ნათელი სულია,
ნაადრევ სიკვდილმა მასზედაც იძალა.
ბედის დეკადანსი მხატვრისთვის რთულია,
კლასიკურ შემოქმედს–ფიროსმანს ვაღმერთებ.
ფუნჯის ჯადოქრობით გამორჩეულია
და ყველა მხატვარში ამიტომ ვამეფებ!

2013წ.

შეგრძნება ერთხელ

ეს მე ვიგრძენი ერთხელ,
იდუმალია მართლაც.
ალბათ, მომხდარა ბევრჯერ,
გუშინწინ, გუშინ, ახლაც!
ეს მე ვიგრძენი მართლა,
ხელი წაგავლე თმაში.
დღეს დაწერილი საგა,
ბრძოლა იწყება მარშით.
უმანკოების ჟამი,
თვალთვალი ბედის კართან.
და მზერა იდუმალი
შერწყმულია სიზმართან.
ეს მე აღვიქვი ბევრჯერ,
როდესაც ვიდექ ხატთან.
ვერ შევიგრძენი მე ჯერ,
ახლო კონტაქტი სხვასთან.
ის ყველაფერი ახდა,
რაც, რომ გავგზავნე ცაში.
ვარსკვლავთბიჭუნა მახლდა,
ისიც გახვიეს შარში.
ეს მე ვიგრძენი ბევრჯერ,
არსებობს ბედისწერა.
ჩვენ ვიბადებით ერთხელ
და გვაქვს ერთი ხელწერა.
ეს მე ვიგრძენი ბევრჯერ...

2013წ.

შეზღუდული აგრესია

განსაზღვრული შემეცნების ენა,
ბუნებრივი პირობების მტვერი.
მაწანწალა ცხოველების ღრენა,
უპოვარის გინება უშვერი.
გონებრივი შეზღუდვების სახლი,

სადაც ყველა დაუცველი ათევს.
არ შეჭამო გასარეცხი ვაშლი
ბრალი მისი, ვისაც ცოდვა აწევს.
მოჩუხჩუხე ლაღად ნაკადული,
მსურს შევიგრძნო უხილავი განცდა.
დაე, ვიყო უნარ შეზღუდული,
მეც, ოდესღაც სიყვარულის მწამდა.
განსაზღვრული შემეცნების ერა,
ბუნებრივი რესურსების მტვერი.
მკვდარი ენის სამეტყველო ბგერა,
მატადორმა ხარს უჩვენა ცერი.
მაინც ვიტყვი უკანასკნელ სიტყვას,
თუნდაც ვიყო სოციუმის მსხვერპლი.
ატომური ბომბის ვაჭერ ღილაკს,
დაე, მერქვას მე მსოფლიოს მკვლელი.
გამოშიგნულ კაცთმოყვარე რასას,
დაეკარგა შთაგონების აღქმა.
ნუ აბრაზებ მოწინავე მასას,
ლინჩის წესით არ ჩაგქოლოს ხალხმა.
შეზღუდული აგრესიის კვალი
მთელს სხეულში ინერციით გამდევს.
ჩამილაგე სამი დღის საგზალი,
დავბრუნდები ამ სამყაროს დამლევს.
ასეთია ისტორია ნაღდი,
რასაც ალბათ, მალე მეც მოვყვები.
და ჩემს მტარვალ გულში მაწევს დარდი,
ამ ცოდვილ კაცს ცოლად, რომ მომყვები!

2013წ.

ოთარ ჭილაძეს

დღეს ვკითხულობდი ჭილაძეს
სასწაულებრივ პათოსით.
მე დამესიზმრა წინა დღეს,
კაცი სიკეთის სამოსით.
მართლაც, რომ სასწაულია,

მისი ლექსები მართალი.
მსოფლიო შემოუვლია,
შემოქმედებას – ალალი!
ჭილაძე – აზრთა კორიფე,
ჭილაძე – მეგა მაშტაბში.
განსასვენებლის კარიბჭე,
ისეა, როგორც ზღაპარში.
ადამიანი – პოეტი,
თვით მწერლობის რაფსოდია.
ყველა მოთხრობა – შედევრი,
ძნელად ახსნადი როდია.
“ყოველმან ჩემმან მპოვნელმან”,
“მარტის მამალი” მარადჟამს!
ამ მოთხრობების მთხრობელმან
აზრებით უნდა გადაგვდგას.
დანამდვილებით ასეა,
აქ ყველას გული სავსეა.
იკითხეთ მისი სცენარი,
მსოფლიო რანგის მწერალი(ს).
დანამდვილებით ასეა,
მილენიუმის პოეტი.
ევრიპიდე და დანტეა,
შექსპირის დარი სონეტი.
მის ღვაწლს წლები არ ეყოფა,
დიდი მადლობა შემოქმედს.
თუ რამ უგრძვნია ეტყობა,
ნიჭიერებას დღეს მოქმედს.
დღეს ვკითხულობდი ჭილაძეს
იმედისმომცემ განწყობით.
და დამესიზმრა წინა დღეს,
კაცი პოეტურ სამოსით.
ვიცი, უდაოდ ასეა,
მისი ტალანტი გუგუნებს.
ქართველთა გული სავსეა,
აზრთა მეუფე ჩურჩულებს.
ამ ჩურჩულს იქით უბრალო,

მაგრამ გენია მიღიმის.
ჭილაძის სულო სულმნათო,
შენ საქართველო მიგტირის.
დღეს ვკითხულობდი ჭილაძეს,
საწაულებრივ პათოსით.
და დამესიზმრა წინა დღეს,
კაცი ღვთიური სამოსით.
დღეს ვკითხულობდი ჭილაძეს...

2013წ.

ერთი ისტორია

ერთი ისტორია დამთავრდა,
მორჩა ბატონები ანტრაქტი.
ჩემი პოეზია განახლდა,
ყველასთან გავწყვიტე კონტაქტი.
ერთი ისტორია დამთავრდა,
ფეხქვეშ დამიფინეთ ფარდაგი.
სამყარო ჩემთვის, რომ დაბრმავდა,
ამიტომ გულში მაქვს ბარდაგი.
პატარა ქუჩებიც განათდა,
იხარა აპრილის ენძელამ.
აბსურდის სპექტაკლი ჩამთავრდა,
იმატა სიკვდილის შეგრძნებამ.
ეს ისტორიაც სამ ფაზად
დაიყო და ათვლაც დაიწყო.
და ჩემს ცნობიერში ანაზდად
ბინა ინკოგნიტომ დაიდო.
როგორც ყოველთვის მიმზიდველი,
როგორც ყოველთვის მედიდური.
კეთილმოსურნე გამყიდველი,
ღიმილი ერთობ მაგიური.
ეს ყველაფერი დავამთავრე
და შეგრძნებები განვაახლე.
ლექსი დავწერე საარაკე,
ლაღი სიყვარული დავამდაბლე.

და ამ მონოტონურ ნოტაზე
ექსპრომტად ვასრულებ გამოსვლას.
იმ უსწორმასწორო გორაკზე,
მე გთხოვ ჩემთან ერთად წამოსვლას.
ერთი ისტორია დამთავრდა
მორჩა ბატონებო ანტრაქტი.
ჩემი პოეზია გამკაცრდა,
მუზებთან გავწყვიტე კონტაქტი.
ერთი ისტორია დამთავრდა,
მეორეც უცებ დაიწყება.
ჩემს ქვეცნობიერში დაღამდა,
სულში კი მალე გაწვიმდება.
ვნების აფეთქება ვლინდება,
შენი არსებობა მიხდება.
ზეცა თუ ღრუბლო იქნება,
გულებში მზე ამობრწყინდება!

2013წ.

სამყაროს გენი

ვისთვის სამართალი,
ვისთვის სალანძღავი.
ვისთვის საფიცარი,
ვისთვის საზიზღარი.
და ეს ყველაფერი,
თურმე ცხოვრებაა
და თვით შავი ფერი
მარად გოდებაა.
ვეძებ მარადიულს,
აზრთა შთაგონებას.
ვნატრობ კავკასიურს,
ქალის გამოხედვას.
ვიცი გავიმარჯვებ,
დავძლევ შეშფოთებას.
არც კი დავიდარდებ,
ვიღებ გამოწვევას.

და ეს ყველაფერი,
ვაჰ, რომ ცხოვრებაა.
ზოგჯერ მანკიერი,
ხშირი მოლხენაა.
მაინც ცხოვრებაა,
ერთობ მშვენიერი.
მართლაც მოვლენაა,
ეს ქართველი ერი.
დროის არქაიზმი,
ჩემში გაიმარჯვებს.
თუკი დადაიზმი,
მუზებს გამიმძაფრებს.
და ეს ყველაფერი,
მძაფრი მოვლენაა.
ამ სამყაროს გენი,
მეტყველი ენაა!!!

2013წ.

ფიქრების ტრანსში

აუტანელი ყოფიერება,
ცხოვრებისეულ რეალობაში.
მარადისობის წამიერება,
შეგრძნების აღქმა წარსულ ყრმობაში.
როდისთვის ვიგრძნობ კმაყოფილებას,
როდის დავლაშქრავ ცხოვრების მწვერვალს.
სადამდე გავყვე სიზმრის ოცნებას,
ან რატომ ვითმენ ლაქია მხევალს.
გაუცხოება კვლავაც არსებობს,
კვლავაც იცვლება ჟამი წყეული.
და სიბოროტე კვლავაც დღეგრძელობს,
მე კი დავდივარ მარტოდ, ეული.
აუტანელი ყოფიერება,
ცხოვრებისეულ რეალობაში.
გამოშიგნული სულიერება,
მემატიანის ბოდვით ტკბობაში.

ისევ მარტო ვარ ფიქრებთან ერთად
და ჰორიზონტზე მოსჩანს სამეფო.
არადა მინდა, რომ ვიყო ღმერთთან,
გავასპეტაკო ლოცვით სამრეკლო.
ბედუინების მოდის ამალა,
გადმოიარა საჰარა მკაცრი.
დიდძალი განძი ვინც კი დამალა,
ყველამ იგემა ხანჯალი ბასრი.
ეს ყველაფერი ფიქრის ნაყოფი,
ეს ყველაფერი საზღვრებს სცილდება.
ნუთუ სხვა უცხო, ჩემთან არ მყოფი,
მომავლის გზაზე კვლავ დამჭირდება?!
სიმძლავრის ენა ღაღადებს აწმყოს,
რჩეულთა გონი თამამად ცრუობს.
ბუდისტი გურუ აჯერებს საწმყსოს,
რომ რელიგია ათეიზმს გუობს!
და ეს წყეული თვითდაჯერება,
ამ ჩემს შინაგან სამყაროს ავნებს.
როგორც ალერსით ქალის ფერება,
აღვიძებს მამრის ორჭოფულ აზრებს.
აუტანელი ყოფიერება,
ინსტიქტით მართულ წუთისოფელში.
ვნებებით სავსე წუთიერება,
ერთსქესიანთა საგმობ ქორწილში.
ეს არის სრული პანორამული,
ან ლანდშაფტური ჩვენი ცხოვრება.
და ბედისწერა ცოდვის, კარმული,
მენდეთ, რომ კვლავაც განმეორდება.

2013წ.

სონატა

ნაზი სონატა ყურში ჩამესმის,
ეს ნიშნავს მგონი ფერთაცვალებას.
და კლავესინზე მაესტრო მღერის,
ეს განცდა ერწყმის სიზმრის ზმანებას.
ჩემს ცნობიერში საწყისებს ვეძებ,
რომ ავაჟღერო საღვთო საკრავი.
შედევრის წერას მეც მალე შევძლებ,
ერთად შევიგრძნოთ ღამის ზღაპარი.
ვიბედნიეროთ, ვიმოგზაუროთ,
ამ სასიტყვეთის ლაბირინთებში.
თუ გსურს ვიცელქოთ ან ვიხმაუროთ,
ვაჟკაცად დავრჩეთ, როგორც მითებში.
გაცრეცილ გრძნობებს ერთად ვუწამლოთ,
გავაფერადოთ მშვიდობის დროშა.
და ყოველ სნეულს სიტყვით ვუწამლოთ,
ცუდი რაც იყო, ვუთხრათ, რომ მორჩა.
აწ უკვე დროა შედევრის წერა,
თან ჩავაქსოვოთ სიკეთის მადლი.
ვიცი და მესმის სასტიკი ერა,
არც მე დამინდობს ცოცხლად თუ დავრჩი.
ნაზი სონატა ყურში ჩამესმის,
ეს უკვე ნიშნავს ფერიცვალებას.
ცალმხრივი გრძნობის დღემდე არ მესმის
და მას ვუწოდებ გარდაცვალებას!
ზეცის კიდესთან დაგიგე მახე,
მნათობი გრძნობის ფერადოვნებით.
და ეს სამყარო აღვიქვი, ნახე
ბუნებრივად და სიამოვნებით!

2013წ.

EL DORADO

ალქიმიკოსმა მომძახა ერთხელ,
გინდა გაუწყო კარგი ამბავი?!
ერთ საიდუმლოს გაგიმხელ მენდე,
EL DORADO თუ იცი სად არი?!
რა EL DORADO, რის EL DORADO,
ამაზე მხოლოდ მსმენია გაკვრით.
კონკისკადორი ვარ?! სად მოვნახო?!
როგორ ვიპოვო ზეპირი აღქმით.
ალქიმიკოსმა მომძახა ერთხელ,
იმოგზაურებ ღვთიურ ქალაქში.
დიდძალი განძით იმძლავრებ ბევრჯერ,
შემდეგ იცხოვრებ ძვირფას დარბაზში.
ეს EL DORADO, ღვთისა საუფლო,
გადაკარგული და სასწაული.
თუგინდ ჭაობში სულ მთლად ჩავიფლო,
უნდა ვიპოვო ზღვა საწყაული.
იქვე მოვიწყო დღესასწაული!
ალქიმიკოსმა ნაცნობმა ერთხელ,
გადამიშალა მან ტაროს კარტი.
მე კი მივენდე ამ ჩემსა სვე-ბედს
თან მომეძალა დიდი აზარტი.
მთელი საღამო ფიქრში ვატარე,
EL DORADO-ა მთელი სამყარო.
რომ გავითხარო ჩემით სამარე,
ზღაპრის ქვეყანა უნდა მოვნახო.
უცებ მომესმა წმინდა ალილო,
დილის აისმა მომცა ნიშანი.
აღარც კი ვიცი როდის დავიწყო,
ნეტავ ცხადია ეს თუ სიზმარი?!
და EL DORADO-ს ზღაპრულ სავანეს,
სიზმრის წყვდიადშიც ვერ მივაგენი.
ვითომ ვავსებდი განძით საპალნეს,
გავიღვიძე და ვწყევლე გამჩენი.

EL DORADO–ა ტვინის საჭყლეტი.
ავანტიურაა განა საშველი?!
უფალმა უწყის დღეს მე რას ვშვრები,
სიზმარში, ცხადში ნეტავ სად ვრჩები?!

2013წ.

მოზაიკა

ფერთა აღქმითი მოზაიკა,
მე ბერმა მისახსოვრა უწინ.
და ჩაძირული ატლანტიდა,
რატომღაც დამესიზმრა გუშინ.
ბგერის სინქრონის მოზაიკა,
მინანქრის ფერთა სიხასხასე.
და ეს უკვდავი მონა ლიზა,
მეც მსურდა, მაგრამ ვერ დავხატე.
მინანქრის თვლების მოზაიკა,
სასწაულებრივი, ღვთიური.
ცისფერი სისხლის გენეტიკა,
ფერადი დღეები მზიური.
ბგერის აღქმითი მოზაიკა,
მინდოდა შემეგრძნო ზღაპრად.
ოსტატს ხატმწერი ფანტაზია,
სულ უნდა ემჩნეოდეს დაღად!
სასწაულია შეფასება,
მოზაიკური ფერთა პროზის.
მომავლის განცდა მესახება,
მაგიურ ძალაში ჰიპნოზის.
ფერთა აღქმითი მოზაიკა,
რატომღაც დამესიზმრა გუშინ.
რომ ჩაიძირა ატლანტიდა,
დიდი ხნის წინ ვიცოდი უწინ.

2013წ.

უკვდავი ცეცხლი...

ისევ მეძალა ფიქრის ნოსტალგია,
და ისევ ამენთო ალმურის ცეცხლი.
ის ყოვლისშემძლე მნათი ელეგია,
დღემდე ჩემთან არის და მას ვერ შევცვლი.
უგრძნობ ქალაქში სევდას არიგებდნენ,
განცდებს ატყვევებდნენ გზნებით.
დოვლათს და ბარაქას მომხდურთ ართმევდნენ,
წამებას იტანდნენ მომავლის რწმენით.
ურცხვნი მოწყალებას ზოგს ურიგებდნენ,
ზოგს კი, აპურებდნენ მარტოდენ ბგერით.
ერთ ძუძუთ ნაწოვნი ადრე მიგებდნენ,
ახლა ვერც მხედავენ მეტყველი მზერით!
ყოველ წუთს ღალატი, ტანჯვით ცხოვრება,
შიშის ნიადაგზე მშფოთვარე თრთოლვა.
უმწეო ბავშვივით მარად გოდება,
მოსისხლე ძუძუმტის უწყვეტი ბოდვა.
და კვლავ მეძალა ფიქრის ნოსტალგია,
კვლავაც მეწამული ამენთო ფერი.
და თუ მოვკვდები ჩართეთ რაფსოდია,
ხშირ-ხშირად ახსენეთ უფალი ღმერთი.
ურჩთა ქალაქში გრძნობებს ატყვევებდნენ,
მიჯნურთ აწამებდნენ უკვდავი ცეცხლით.
და წარმართობას მანამ აგრძელებდნენ,
სანამ ეს სამყარო არ იშვა ღმერთით!!!

2013წ.

ქარის წისქვილი

სიმშვიდის ქარში ვწუხდი,
განცდებს ვკემსავდი მძივად.
ღმერთმანი, დღემდე ვდუმდი,
მიჯნურს ვათბობდი ცივად.
გულის დარაბებს ვხსნიდი,
ქალს ვადიდებდი ერთხანს.

სალამურისთვის ვთლიდი,
საჯიშედ დარგულ მერქანს.
მძლავრი მაკრატლით ვჭრიდი,
ვაზის აშოლტილ ყურძენს.
უკვე აღარ მაქვს რიდი,
როცა შვილს ვსტუმრობ უძღებს.
არადა ღმერთო ჩემო,
ყურძენო მადლიანო.
თბილო, როგორც მზის სხივო,
სიკეთევ დარდიანო.
სიმშვიდის ქარში ვდუმდი,
ვგრძნობდი სამყაროს ენას.
და მართლა აღარ ვწუხდი,
ვაფრქვევდი ხმოვან ბგერას.
დიდების კოშკში ავალ,
სიზმრად მაუწყა მაცნემ.
ურჩ გვაროვნებთან წავალ
და მეფურ კარავს დავცემ!
გოლგოთას მთაზე ავალ,
იუდას პასუხს არ ვცემ.
კავკასიონს გადავალ
და ნანადირევს გავცემ.
შორეთს იქუხა სეტყვამ,
წალეკა მთელი ეზო.
ამ იდუმალმა სევდამ
გული დასწყვიტა ბევრსო.
შორეთს იქუხა სეტყვამ
შემუსრა გალავანი.
განვლილ ბავშვობის წლებმა,
გამახსენა ალვანი.
თუში მეცხვარის ხანა,
მგლებთან ხორუმი ძაღლის.
ეპიკურია დრამა,
დღის განწესი მეცხვარის.
სიმწუხრის ჟამიც განვლე
და შევიჭმუხნე მახსოვს.

შენ, ეი ბიჭო სავლე,
კვლავ შეუდექი სათოხს!
მოსავლის ჟამიც დგება,
მწყემსიც იფერებს ნამატს.
ალბათ, ხვალამდე რჩება,
სტუმარს მივხედო ნამგზავრს.
ქარის წისქვილთან წავალ,
ვით ეპიკური გმირი.
მალე სივრციდან გავალ,
მე ვით შენი–კუმირი.
ქარის წისქვილთან წავალ,
ვითარცა დონ კიხოტი.
მზიურ ხევსურეთს ავალ
რომ ვიხილო არხოტი!

2013წ.

ATLANTIDA

ვეძებ ჩაძირულ კუნძულს
სახელად ATLANTIDA–ს.
ნათელს მოვფენ ამ ბურუსს,
დედამიწის ორბიტას.
ასე ამბობდნენ ძველად
ენიგმატურ კუნძულზე.
მსურს მოგევლინო მხსნელად,
გრძნობას არ გავცვლი ფულზე.
ვეძებ ჩაძირულ კუნძულს
სახელად ATLANTIDA–ს.
ჩემს სირბილს ვარქმევ ძუნძულს
ოკეანის ნაპირას.
დავეძებ ზღვაში, ველად,
მისტიკურ ATLANTIDA–ს.

თვალი მიპყრია ყველგან,
რომ შევხვდე ჩემს მატილდას.
ATLANTIDA, მატილდა,
სასიყვარულო სფერო.
ბავშვი უცებ ატირდა,
დედა, რომ მოეფეროს.
ATLANTIDA, მატილდა,
არქიპელაგის ქალი.
ვნების კუნძულზე წვიმდა,
მშვიდად უკრავდა ქნარი.
ATLANTIDA, მატილდა,
იდუმალება სივრცის.
თუნდაც ამისთვის ღირდა,
მეცხოვრა, მხოლოდ მისთვის.
ვეძებ, დავეძებ, კუნძულს,
ჩაძირულ ATLANTIDA–ს.
ვხედავ ნისლისფერ ბურუსს,
ჰორიზონტის ნაპირას.
რამდენი გემი შთანთქა
ბერმუდის სამკუთხედმა.
არ შემიძლია არ ვთქვა,
დაე, შემინდოს ღმერთმა.
მისტიკურ ATLANTIDA–ს,
ჩაძირულს, ტკბილად სძინავს.
ვერ ვივიწყებ მატილდას,
ჩემს გულს ეს გრძნობა ყინავს.
ATLANTIDA, მატილდა,
ორივე იდუმალი.
წუხელ საშინლად წვიმდა,
სულ დასველდა სტუმარი.
მან მომიტანა რუქა
კონკისტადორის ჩანთით.

სადაც ხატია მუქად,
ზარდახშა დიდძალ განძით.
კარიბის ზღვისა ფსკერზე
ჩაძირულ კუნძულს სძინავს.
მარჯნის ატოლის შრეზე,
ოქროს საბადო ბრწყინავს.
საკრალურ ბედისწერას,
კაცი ვერ გაექცევა.
“აუტანიხარ წერას”
თურმე განძზე ეწერა.
ათწლეულები გავა,
ATLANTIDA კი რჩება.
ზღვის ფსკერზე ვინც კი ჩავა,
აუცილებლად კვდება.
მისტიკური კუნძული,
საიდუმლოს ინახავს.
აურაცხელი ფული,
მენდეთ, ბევრს არ გვინახავს.
ზღაპარი ATLANTIDA,
ნატვრა-ოცნებად ხდება.
და ეს ჩემი მატილდა
ზღაპრის გმირადვე რჩება.
ვპოვებ ჩაძირულ კუნძულს,
სახელად ATLANTIDA-ს.
ნათელს მოვფენ ამ ბურუსს,
დედამიწის ორბიტას.

2013წ.

პონტიფიკოსი

პონტიფიკოსი–კაცი ბრძენკაცი,
მორწმუნე შვილთა, ზიარი მადლით.
რწმენის სილაღით, ვითარც ღვთისკაცი,
უდრეკი სულით და მტკიცე არსით.
პონტიფიკოსი–თვით კათოლიკე,
ეკუმენიზმის მამამთავარი.
კაცი გენია, ვით ევრიპიდე,
ცოდვილთ შვილების მართლაც ზვარაკი.
პეტრეს ტაძართან მორწმუნეთ საწმყსოს,
მიმტევებლობით ჩასძინებია.
დროის ფრაგმენტი სრულყოფად აწმყოს,
ქორონიკონის კალენდრებია.
პონტიფიკოსის მარადი ლოცვა
და მის ბაგედან ნამღერი ჰანგი.
ჰაეროვანი კამკამა კოცნა,
უზენაესი, უკვდავი ჩანგი.
ღმერთის შვილობა, მართლაც რთულია
და მხოლოდ რჩეულთ ხელეწიფება.
სამყაროს ცენტრი თუკი გულია,
ვაჟკაცს სჭირდება ადრე მწიფება.
რა სამყაროა წუთისოფელი,
თუკი დაჩრდილავს მოყვასის ლოცვას.
პროზელიტიზმის მქადაგებელი,
ლიტურგიისას ჩუმ–ჩუმად მოთქვამს.
უფლის განგებით დრო–ჟამს შევნატრი,
როს დაწყნარდება კაცობრიობა.
იმ სიყვარულის ნაყოფს შევხარი,
რომელსაც მოვთხოვ შემდეგ გმირობას.
რწმენით ცხოვრება გამოწვევაა,
როგორც დუელში მოლაშქრე შპაგით.
ცოდვის ჩადენა მავნე ჩვევაა,

ნუ მოჰკლავ მომხდურთ ვერაგი ზრახვით.
პონტიფიკოსი–კაცი წმინდანი,
უფლის რჩეული შემოქმედება.
და თუ დაგეწყო მნათი ხილვანი,
ეს სასწაული კვლავ გაგრძელდება.
რაც, ნიშნავს მარად ფერიცვალებას,
შენი სხეულის სულთან გზავნილის.
ნუ არქმევ სიკვდილს გარდაცვალებას,
რწმენით გასავლელ ცოდვის მანძილის!
პონტიფიკოსი ღვთისგან გზავნილი,
გამტარი მადლი სულით სპეტაკი.
ურწმუნოთათვის აზრი მახვილი,
უკვდავი სიბრძნის ნაღდი სედრაქი.
ისე არ წავალ წუთისოფლიდან,
ჟამთააღმწერლის ქებას მოვესწრო.
ღირსების გრძნობა უფლისწულისგან,
შემდეგ თაობას რწმენით მოსდევსო.
პონტიფიკოსი–ღმერთის სახლიდან,
და ქრისტიანი აღმსარებლობით.
რწმენის სიდიდე დასაბამიდან,
ლოცვით იწყება არა მსჯელობით.
ჩვენც შევუერთდეთ კაცობრიობა,
ამ დიდ საგანძურს, მენდეთ მადლია.
და როცა ქრისტეს სისხლი სდიოდა,
ადამის მოდგმავ, შენი ბრალია!!!
პეტრეს ტაძართან მორწმუნეთ საწყმსოს,
მიმტევებლობით ჩასძინებია.
დროის ფრაგმენტი სრულყოფილ აწმყოს,
ჯერ უხილავი შეგრძნებებია.
კვლავაც იქუხებს რწმენის საუფლო
ღვთიურ, მადლმოსილ პილიგრიმებით.
და მთელ სამყაროს უნდა ვაუწყო,
რომ ქრისტე მოდის უფლის დიდებით!!!

2013წ.

მოჩვენებითი მზერა

ამდენ მოღუშულ სახეს,
ამდენ დაშრეტილ ბგერას.
მეც ასეთივედ მნახეს
და აწ არაფრის მჯერა.
თუკი სიმართლის პწკარი
შენში მარადი ცოცხლობს.
ვერ გამთელდება ბზარი,
წარსულს თუ არა გლოვობ.
ამდენ მოღუშულ სახეს,
და ბევრ უაზრო ბგერას,
გზავნილი მოაქვს მაცნეს,
და მიწევს დიდხანს თმენა.
ცხოვრების არსი დარჩა
ჩემს ამოუცნობ სევდად.
ვარსკვლავთკიაფი ჩაქრა,
ზეცას დაემჩნა ცრემლად.
ვნებების ქალღმერთს ვუხმობ,
იქნებ შემმატოს რწმენა.
და თუკი განზრახ ცრუობ,
მენდე, რომ გაგცემს ენა.
ამდენ ცრემლიან თვალებს
და მოჩვენებით მზერას.
ვუძღვნი მწველ დითირამბებს,
თავს ვანდობ ბედისწერას.
ამდენ მოღუშულ სახეს
და უსიცოცხლო მზერას.
მეც, რომ ასეთად მნახეს,
უკვე არაფრის მჯერა.

2013წ.

ზღაპრის სამყარო

მირაჟში ვგრძნობდი სამყაროს,
ზღაპრის აკლდამებს ვხატავდი.
ძილში ვეძებდი ავგაროზს,
პეპის გრძელ წინდებს ვქარგავდი.
ცხოვრება, ხომ ზღაპარია,
დამეთანხმებით ბავშვებო.
იდუმალი და კარგია,
ზღაპრის უკვდავი სამეფო.
ჩემი საუნჯე მდიდრული,
ისტორიული ამბებით.
როგორც ზედაშე ღვთიური,
თრობის იდუმალ ძაფებით.
მეც მინდა ვიბედნიერო,
გტყორცნოთ ნათელი სხივები.
ჩემო ბერმუხა, ხნიერო,
ბავშვებს უამბე მითები.
მირაჟში ვგრძნობდი სამყაროს,
ვაფერადებდი ცხოვრებას.
დღემდე დავეძებ ავგაროზს,
ჩემთვის არ ვეძებ ქონებას.
ეფემერული წარსული,
ფონეტიკა და ანბანი.
ზღაპრის პერსონა ავსული
და წითელქუდას საგზალი.
ეს ყველაფერი ზღაპარში,
ბავშვებო არ შეგეშინდეთ.
როცა ატყდება განგაში,
ყველამ ერთბაშად იყვირეთ.
და ეს ზღაპრული თაობა,
ძილის სიზმარეთს მოივლის.
მოდერნული მოძრაობა,
წინაპართ ნაყოფს მოიმკის.
თუმცაღა არ გავაგრძელებ,
მოსახდენი, ხომ მოხდება.

ჩატეხილ ხიდს გავამთელებ,
ზღაპრის გმირთათვის, რომ ტყდება.
მირაჟში ვიგრძნობ გაზაფხულს,
ზღაპარში ხშირად მიმართლებს.
და ყველა მოზარდს ვაჟკაცურს,
ცხადში ვაუწყებ სიმართლეს.
რომ ეს ცხოვრება კარგია,
სავსე ვარდისფერ შეგრძნებით.
რომ ყველა აზრი საღია,
ნათქვამი კეთილ ენებით.
მირაჟში ვგრძნობდი სამყაროს,
ზღვისფერ აკლდამებს ვხატავდი.
ძილში ვეძებდი ავგაროზს,
პეპის გრძელ წინდებს ვქარგავდი.
ახლა კი გემშვიდობებით,
პრეისტორია დამთავრდა.
გეპატიჟებით მშობლებით,
ცხადი, ხომ ზღაპრად განახლდა!

2013წ.

ნასახლარი

ჭადრის პირას ნასახლარზე,
ქამა სოკო აღმოცენდა.
და ჩემს გულში ნასუფრალზე,
ნაფიქრალში დამათენდა.
ხვალვე ვიწყებ ტატანობას,
ავინთები გრძნობის გზნებით.
ქალის ამბორს, კეკლუცობას,
მეც შევხვდები მოთმინებით.
მუზათსავსე შთაგონება,
პოეტური პერფორმანსი.
ერთ დროს კარგი მოგონება,
გულისწორთან ნელი ვალსი.
მახსენებენ ამ ცხოვრების,
დაუნდობელ ორომტრიალს.

რეფლექსები ამ დროების,
კვლავ მანდომებს ღვინოს ტიალს.
სასმელს ვითხოვ დიდი თასით,
რომ სიცოცხლე ვადღეგრძელო.
ბედისწერავ წადი, გასწი,
განგებავ არ შემაჩერო!
ჭადრის პირას ნასახლარზე,
ქამა სოკო აღმოცენდა.
დილიდანვე, ნასუფრალზე,
ფიქრის ტრანსში დამათენდა.
იქნებ შევძლო გავძლიერდე,
ზებუნებრივ ძალებს შევთხოვ.
ჩემს თავს ვეტყვი–"არ დანებდე",
გამარჯვება მოვა შემდგომ!!!

2013წ.

მე თქვენ დაგიტოვებთ...

უკვე მერამდენედ, ცხოვრებამ მიმუხთლა,
ზურგი შემაქცია ჩემმა გულისწორმაც.
და ჩემს ცნობიერში დარდმა დაიბუდა,
სევდა, კაეშანი იქცა ჩემთვის ნორმად.
თეთრი ღამეების აჩრდილს თანაზიარს,
ცაზე მოუფანტავს გრძნობის ნამსხვრევები.
მე, კი შენ გიტოვებ ლექსებს სანდომიანს,
მაგრამ მხოლოდ ლექსებს გთხოვ, ნუ დასჯერდები!
შორეთს გადახვეწილ მერცხლებს ვევედრები,
იქნებ მათ მანახონ შუქის ნაპერწკალი.
დღეში უამრავი ფუჭი შეხვედრები,
ვერსად ვერ ნაპოვნი უღვთო სამართალი.
აწმყოს ეს დიდება ჩემში დაიწუთრა,
და შორს მიმავალი გეგმა ჩამეშალა.
ჩემი შეგრძნებები ყველას მიმართ სუფთა,
მარტივ მამრავლებად უცებ დამეშალა.
ბიჭი მეოცნებე მხედრის თავნებობით,
ისე დავუძლურდი, ისე გავფერმკრთალდი.
ერთდროს მედიდური, კარგი გარეგნობით,

დღეს კი ვიმყოფები ძლიერ გადამთვრალი.
უკვე მერამდენედ, კარი დამიხურა,
უკვე მერამდენედ, გული გამიცრუა.
როცა მარტოდმარტო ბედმა შემიგულა,
მტარვალ ტარტაროზმა ბნელში შემიტყუა.
აი, სწორედ მაშინ ხელი ჩავიქნიე,
აზრი აღარ ჰქონდა ბრძოლის გაგრძელებას.
ტანჯულ ბედისწერას თითი დავუქნიე,
აღარ ვაპირებდი აქ, მე გაჩერებას.
უკვე მერამდენედ, ცხოვრებამ მიმუხთლა,
ზურგი შემაქცია ჩემმა გულისწორმაც.
და ჩემს ცნობიერში დარდმა დაიქუხა,
სევდა, კაეშანი იქცა ჩემთვის ნორმად.
ქრისტეშობისთვეა, უკვე ჩამოთოვა,
თოვლის სამყაროში ისევ ავზვირთდები.
ვატყობ დღეს მომიწევს აწმყოს გამოგლოვა
და თან ხვალინდელზე სულ არ დავფიქრდები!

2013წ.

ქანცგაწყვეტილ ცხენებს კლავენ...

ქანცგაწყვეტილ ცხენებს კლავენ,
არ ინდობენ არცერთ ცხოველს.
შეცოდებას მე კი ვავლენ,
უფალს ვანდობ მათ სულს ყოველს.
არა მხოლოდ საკვებისთვის,
მოსაპოვის–მოსაპოვრად.
ჩემს სულს დავთმობ განგებისთვის,
თავს მივიჩნევ დღეს უპოვრად.
კაცი ერთდროს საზრიანი,
ცოდვილ შვილად გადაიქცა.
და სიკეთე მადლიანი,
დასამარდა, გადაიხრწნა.
ქანცგაწყვეტილ ცხენებს კლავენ,
სპორტულ ინტერესთა გამო.
შეცოდებას მე კი ვავლენ,

ამის გამო ჩამწყდა ხმაო.
სასტიკია ჩვენი ყოფა,
ველურია დასავლეთი.
გუშინ მითხრეს, რომ–გეყოფა,
გაჩუმდი და გადადექი.
მაგრამ სანამ ვცოცხლობ, ვხარობ,
სანამ ძარღვებს სისხლი კვებავს.
ვერ დავუშლი სასაკლაოს
ველურ ძაღლებს უწყვეტ ყეფას.
ქანცგაწყვეტილ ცხენებს კლავენ,
არ ინდობენ არცერთ ცხოველს.
და მერე კი ღვინოს სვავენ,
იხსენებენ წასულს ყოველს.
ასეთია ეს ცხოვრება,
ასეთია რეალობა.
ზოგს წაერთვა მხედველობა,
მავანს არ აქვს გულში გრძნობა.
მე კი კვლავაც გავაგრძელებ,
სულიერის ყოვლად დაცვას.
მკვლელებს თავს არ დავანებებ,
შევაჩერებ მათ თავდასხმას.
ეს არის ის ძალადობა,
სხვის სიცოცხლეს რითაც კლავენ.
ვერ გექნება გამარჯვება,
სისასტიკეს, როცა ავლენ.
ქანცგაწყვეტილ ცხენებს კლავენ,
არ ინდობენ არცერთ ცხოველს.
შეცოდებას მე კი ვავლენ,
უფალს ვანდობ მათ სულს ყოველს!

2013წ.

ყრმობის წიაღში

ყრმობის წიაღში შევედი,
კარი ჭინკებმა გამიღეს.
ბედნიერებას ვერ შევწვდი,
ჩემამდე სხვებმა წაიღეს.
აშიყი ერთი მოლაყბე,
სოფლის შარაგზას კეკლუცობს.
მისტირის წარსულს ომამდე,
აშკარად ყველასთან ცრუობს.
არადა ჩემი წარსული,
ტკბილ შეგრძნებებში მარხულობს.
ტყუილს აქვს ყავლი გასული,
და ყველა გრძნობს და ნახულობს.
ყრმობის წიაღში შევედი,
კარი ჭინკებმა გამიღეს.
რატომ ბოროტობ ვერ ვხვდები,
ვერ გრძნობ ცხოვრების სამიზნეს.
არადა გამჩენს დავლოცავ,
მოუკვდეს დამაწყევარი.
მორწმუნე მიდის სალოცავს,
უკან მიყვება მხევალი.
ნისლიან მთებს და ბილიკებს,
ბუნების მაშტაბურობას.
მენდე, რომ ვერ დაივიწყებს,
ერი მოყვარე სტუმრობას.
ბინდი ჩამოწვა მთებზედა,
ხეთა რიგს მწკრივად ერევა.
ქართველი დედის ვედრება,
ჭირი ნურავის ეწვევა.
ყრმობის წიაღში შევედი,
კარი ჭინკებმა გამიღეს.
ყველამ მაჩვენეთ შედეგი,
ზუსტად გაარტყით სამიზნეს.
დღეს უნდა ჰპოვო ძმობილო,
ის შენი ბედის გზავნილი.

იანვრის სუსხ თვეს შობილო,
ქალრმერთს მოასხი მანდილი.
ვაი, რომ აწყლიანდება,
ეს მაყვლისფერი თვალები.
ბედი, რომ დატრიალდება,
მერეღა შეგებრალები.
სოფლად, ტყის პირას ბიბინებს,
ყოჩივარდების ამალა.
ვინც სიცოცხლეში მიტირებს,
გულის სიღრმეში დავმალავ.
კეთილი კაცი სოფლად ხალხს,
რწმენის სიმტკიცით შეხვდება.
და ყოველ დილით ის ღვთის სახლს,
კრძალვით და რიდით ევლება.
ყრმობის წიაღში შევედი,
კარი ჭინკებმა გამიღეს.
ბედნიერებას ვერ შევწვდი,
ის, ხომ ჩემამდე წაიღეს!!!

2013წ.

სიმართლის დრო

ეს დროც მოვიდა,
რომ ვთქვა სიმართლე.
მოსჩანს შორიდან,
შიშის სიმაღლე.
ვერ შეველევი,
გრძნობის განთიადს.
რად არ ნებდები,
ვნებებს ამ დიადს.
ეს დროც მოვიდა,
ვიტყვი სიმართლეს.
სისხლი, კორიდა,
აქაც მიმართლებს.
ბედის კარიბჭეს,
ზღუდე შეკვეცილს.

რაც მომანიჭეს,
დღემდე მთხოვენ წილს.
ვგონებ დამთავრდა,
ბრბოს აქ პარპაში.
ჩემში გამძაფრდა,
ცეცლთან თამაში.
მაგრამ როდემდე,
გავუძლებ ტკივილს.
ნეტავ სადამდე,
დავმალავ ტყუილს.
უკვე მოვიდა,
დროა სიმართლის.
სისხლი, კორიდა,
განცდა სიმძაფრის.
ამ წამს ვასრულებ,
სიკვდილთან ბრძოლას.
ვიცი ვართულებ,
მიჯნურთან ყოფნას.
ეს დროც მოვიდა,
რომ ვთქვა სიმართლე.
მოსჩანს შორიდან,
შიშის სიმაღლე.

2013წ.

აღარც კი ვიცი, როდის იდარებს...

არ მოველოდი ამდენ ვაებას
და ველი, როცა გამოიდარებს.
აღარ დავეძებ მტრის მობრძანებას,
ბედს აღარც ვუსმენ, მე რას მიმზადებს.
მზე ბედისწერის ჩემთვის ჩამქრალა,
უმანკოების მთვარეს შევცქერი.
ცისარტყელების მზერამ დამღალა,
დედა ბუნებამ მამცნო მეწყერი.
დიდსულოვნებას ვატან იმედებს,
რომ ჩვენს გულებშიც გამოიდარებს.
ბედისწერა კი ისევ მიმეტებს,
დიდ ბრძოლისათვის, არც აქ მიმართლებს.
ჩემში განცდილი ბედის გზავნილი
და შესაგრძნობი კიდევ ბევრია.
იქნებ მაჩვენოთ რამე სამხილი,
ჩვენი ცხოვრება, რომ შედევრია.
არ მოველოდი ამდენ ვაებას,
ველი, რომ დღესაც გამოიდარებს.
მედგრად შევხვდები მტრის მობრძანებას
და მასაც ვეტყვი ნუღარ იდარდებს.
სიკვდილს შევხედავ მზაკვრულ ღიმილით,
არ დავხარბდები მზეჭაბუკობას.
ვიღაც მედროვე მოდის სირბილით,
ჩემთან აპირებს ღამით სტუმრობას.
ადათ-წესები მავალდებულებს,
რომ აღვასრულო მასპინძელობა.
უთანასწორო ომში ჩაბმულებს,
ღმერთო უბოძე მათ დღეგრძელობა.
დღეიდან ველი ამდენ ვაებას,
აღარც კი ვიცი როდის იდარებს.
სტუმრის სტატუსით მტრად მობრძანებას,
მართალი კაცი მწამს არ იკადრებს!!!

2013წ.

განცდა ათინათი

სილუეტი დავინახე შენი,
წარსულ დროში აღბეჭდილი მნათი.
ვიცი, რომ გსურს მწველი ვნება ბევრი,
ხშირად იგრძნო განცდა ათინათი.
რეალობას გაუსწორე თვალი,
გამოდევნე ალმაცერი ფიქრი.
ახლებურად დაიწყე თვალთვალი,
შეისწავლე სხვისთვის უცხო შრიფტი.
სილუეტი დავინახე შენი,
უკვე დინჯი, კოხტად მოხდენილი.
მგონი, ალბათ დაგავიწყდა ძველი,
ის გიჟური ლტოლვა მოფრენილი.
მე ის ვიცი, რომ სიკეთე მარად,
გამოხატავს უზენაეს განცდას.
გაჭირვებულს დავუდგები ფარად,
ავარიდებ მისთვის შავ-ბნელ ძალას.
არ ვაპირებ ვიყო–''დონ კიხოტი'',
არც ''ექიმი ჟივაგო'' ვარ მენდეთ.
თქვენს რიგებში მწიგნობრობის კვოტით,
მოვხვდები და თქვენს სიყვარულს შევძლებ.
სილუეტი დავინახე შენი,
მოყვასისთვის წამებულის სახით.
სირთულენი კვლავ იქნება ბევრი,
გადავლახავ მოთმინების ძალით.
სილუეტი დავინახე შენი,
წარსულ დროში აღბეჭდილი მნათი.
ვიცი, რომ გსურს მწველი ვნება ბევრი,
ყოვლისშემძლე განცდა ათინათი.

2013წ.

მნათი სიკეთე

მონუმენტს ქმნიდა ავტორი
ძლიერ შეგრძნებებს ავლენდა.
და პროტესტანტი პასტორი,
ათეისტებს ანათლებდა.
სად არის თავისუფლება?!
რა არის ხალხთა მისია?!
ამ სიყვარულის უფლება,
ჩემი, შენი და სხვისია!
მონუმენტს ქმნიდა ავტორი,
გოთიკურ სტილის ხაზებით.
ვენერას გლოვობს სასწორი,
როგორც ვერძს, მესმის სავსებით.
ხელოვნებაში მარადი,
გულწრფელი ენის მცნებაა.
ქალი ღვთიური, ტანადი,
ფიქრიც კი უკვე ვნებაა.
მონუმენტს ქმნიდა ავტორი,
დიდ ძალისხმევას ავლენდა.
ჩია, მორწმუნე პასტორი,
უპოვართ, გლახაკთ არჩენდა.
დიდ შედევრს ქმნიდა ავტორი,
მთელს ემოციას აქსოვდა.
არადა, ცივი ზამთარი,
გადაუღებლად ათოვდა.
ხანგრძლივათ ეს ყველაფერი,
მედროვე კაცთა ხვედრია.
მართლა არ ვიცი რა ფერი,
ცხადში ზომაზე მეტია.
თუ მართლა ეს ყველაფერი,
ეპიგონების ხვედრია.
სიკეთის მნათი ეს ფერი,
ხან ცოტა, ხანაც ბევრია.
მონუმენტს ქმნიდა ავტორი,
დიად შეგრძნებეს ავლენდა.

მამაო, padre, პასტორი,
მღდელთა ძახილი დამჩემდა.
და ჩემში რწმენით მორჩილი,
ვაგლახ, რომ დღესაც არ შედგა.

2013წ.

რჩეულთა შორის...

ღმერთმა გიბოძა სიცოცხლის პეწი
და უსასრულო განცდების ტყვე ხარ.
ნეტავ საით გაქვს ოცნების გეზი,
პროფილში ზოგჯერ ანგელოზს გევხარ.
გრძნობის ზარებმა იქუხეს ტაძრათ,
ცეცხლისფერ ფასკუნჯს დასთენებია.
მიჯნურმა სატრფომ უარყო ალბათ,
ვერაგი აზრი დასჩემებია.
მაინც იბრძოლებს ფასკუნჯი მედგრად
და კვლავ იფეთქებს ვნებათა ექო.
თუ რამ არსებობს სიწმინდე ქვეყნად,
სწორედ ამ წმინდანს, ღმერთმანი ვერ ვთმობ.
საწუთროს მიჯნას ბოლოჯერ შევთხოვ,
ღმერთო მაღალო შემინდე ცოდვილს!
მეორედ მოსვლა თუ იქნა შემდგომ,
ჩემს წილ სიცოცხლეს დავუთმობ ძმობილს.
ღმერთმა გიბოძა სიცოცხლის პეწი,
რჩეულთა შორის გამოგარჩია.
გიშრისთვალებავ არაფერს გერჩი,
მოდი, მოგასხა ნდობის მანტია.
განძთა კუნძულის საუნჯეს განდობ,
ცისკრის კიდესთან დაგელოდები.
და თუ მოხდა, რომ ოდესღაც დაგთმობ,
სიცოცხლეს ვეტყვი–“გემშვიდობები”.

2013წ.

ძალიან ბევრი...

ძალიან ბევრი ლამაზი გოგო,
შეგრძნებებს მალავს ვით არტემიდა.
მათ შორის ბევრი სიყვარულს გლოვობს,
ასეთთან ერთად ფლირტიც არ მინდა.
დროის მანქანა ცივილურ ქცევებს,
რადიკალურად ასხვაფერადებს.
მე კი რა ვუყო რეფლექსურ ჩვევებს,
ჩაკეტილ გულს ვინ გამიფერადებს.
ძალიან ბევრს ამ მშვენიერ გოგოს,
აპრილის სიოს სურნელი ასდის.
წარღვნა, რომ მოხდა სოდომს და გომორს,
ცოდვილ მსოფლიოს ღმერთი არ აცდის.
განუწყეტელი შფოთის იერი,
შენს სილუეტზე გამოხატული.
ზოგი ლამაზი, ზოგი ძლიერი,
სამყაროს თვალით ყოფა აღქმული.
ძალიან ბევრი ლამაზი ქალი,
შეგრძნებებს აფრქვევს, გრძნობებს კი ჩრდილავს.
და შემართება უნდა დიდძალი,
ვინც მათ ღვთაებრივ გულებს განგმირავს!

2013წ.

მარადისობა

მართლა არ ვიცი, სადამდე გადის,
ღირსების ზღვარი უწინ და ახლა!
მარადისობა დიდი წინაპრის,
ჩვენს თაობაში რატომღაც გაქრა.
მართლა არ ვიცი ხვალ რა მოგველის,
დღეს კი ღვთისმშობელს ცრემლი სდიოდა.
უგუნურობა მეფობს–როდემდის?!
უძრავად რჩება კაცობრიობა.
მათ სულს ვფიცავარ, თავს არ დავინდობ,
რომ იდღეგრძელოს ქართულმა მოდგმამ!!!

ღიმილის ბიჭის ვაზი ყვავილობს,
სიკეთე ლაღობს, ღვარძლი კი მოთქვამს.
ჩემს გონებაში წმინდა სულები,
სიცოცხლის რწმენით გათანგულები.
ყოვლისმომცველი, დაქარაგმული,
აწმყო ცხოვრება ერთობ მხატვრული.
მართლა არ ვიცი, სადამდე გადის,
ზნეობრიობის უწყვეტი ხაზი.
დედის სურნელი ჯერ კიდევ ასდის,
სიკვდილთან ბრძოლობს ვით ფარნავაზი.
მართლაც არ ვიცი, რა სწრაფად გადის,
თუმცა ვამაყობ წინაპართ წლებით.
ცად ოხშივარი მათ საფლავს ასდის,
კაცმა არ იცის ვინ როდის ვკვდებით.
ჩემთვის ეს არის ჭეშმარიტება,
დროში მგზავრობა კვლავ გაგრძელდება.
და წინაპართა ხოტბა–დიდება,
ვფიცავ, არასდროს არ განელდება!!!

2013წ.

ჩოხის რაინდი

უნდა იბრძოლო, მიდი, შემოჰკარ,
განცდით შემოსცხე ბუკი, ნაღარა.
შენ ჩოხოსანო მტერი, რომ მოჰკალ,
მან სამშობლოსთვის სისხლი დაღვარა.
უნდა იბრძოლო, თუ გსურს გადარჩე
და ამოგხდება შვებით – "ევრიკა".
მზით შევერცხლილი ვაზი გადავრგე,
ნაჟურთ ნაყოფი მოგვძღვრავს ქვევრიდან.
უნდა იბრძოლო, როგორც დიდგორი,
როგორც შამქორი, თუნდაც კრწანისი.
შემოვიერთოთ ჩვენ ახალგორი
და ყველამ შევსვათ უფლის სასმისი!
რომ გავიმარჯვებთ, რომ გავილაღებთ,

რომ გადავრჩებით და გამრავლდებით.
რომ არასოდეს აღარ ვიდარდებთ,
მტერთან ბრძოლაში, რომ არ გავტყდებით.
უნდა იბრძოლო, მიდი ვაჟკაცო,
მედგრად შემოჰკარ ბუკი, ნაღარა.
შებინდებისას მომხდურთ გავტაცო(თ),
ის მოღალატე, ვინც, რომ ახარა.
რომ ქართველები მცირედნი დავრჩით,
უთანასწორო სისხლის ველია.
რომ სიკვდილამდე ვიბრძოდით დაშნით,
მაგრამ დავმარცხდით საკვირველია.
უნდა იბრძოლო, მიდი, შემოჰკარ,
განცდით შემოსცხე ბუკი, ნაღარა.
ჩოხის რაინდო მტერი, რომ მოჰკალ,
მან ვაჟკაცურად სისხლი დაღვარა.
მიდი, იბრძოლე, თუ გსურს გადარჩე,
თუ გსურს, რომ დარჩე ომში მზებიჭად.
ჯერ ხომ სულ თოთო ნერგი გადავრგე,
თავი კი მომაქვს უკვე ბერბიჭად.
თქვენ ბანოვანნო, ვნებით მაშვრალნო,
გადმოგვიფინეთ ფარდაგი გრძნობის.
და ბრძოლის ველზე ნაღალატარნო,
არ გეღირსებათ შეფიცვა ძმობის!!!

2013წ.

არავინ არ თქვას...

არავინ არ თქვას, სულის სილამაზე,
სხეულისას სჯობს, ეს არავინ არ თქვას!!!
არავინ არ თქვას, ბოროტების გენი,
ჩაქრა და მინელდა, არავინ არ თქვას!
დღესასწაული, როდესაც იქუხებს,
მსოფლიო უსაზღვროდ იბედნიერებს!
ღია სარკმელთან სხივი გაიბრწყინებს,
მზის სითბოვნებას ჩვენთვის გაიმეტებს.
არავინ არ თქვას, სულის სილამაზე,
სხეულისას სჯობს, ეს არასდროს არ თქვას!!!
არავინ არ თქვას, რომ ველური გენი,
ჩაქრა და მინელდა, არავინ არ თქვას!!!
მე არ მწამს, კოლაფსი განცდილი გულის,
შეკუმშულ გულის გრძნობებით დამწვარის.
არ მწამს, რეინკარნაცია თვით სულის,
სამყაროს დედაა, სულის საყდარი.
არავინ არ თქვას, სულის სილამაზე,
სხეულისას სჯობს, ეს არასდროს არ თქვას!!!
არავინ არ თქვას, რძალს არ შურს მულის,
ტყუილი იქნება, არავინ არ თქვას!!!
წარსულის აჩრდილთ სურვილს დავაბარებ,
იქნებ გამოხატონ ნება კეთილი.
და ჩემი გმირობით ყველას გავახარებ,
მძულს და არ მინდა გრძნობა შეკვეთილი!

2013წ.

სევდის პოეზია

ყურში ჩამესმა ჩურჩულით ნათქვამი,
ერთი ეპიზოდი განვლილ ცხოვრების.
იქნებ დავუკრა შეგრძნებით ტამ-ტამი,
საჯაროდ ვამხილო მადლი გონების.
ცოდვა შემთხვევითი, მაინც ცოდვაა,
თუნდაც ინანიო მთელი ცხოვრება.
და ეს ყველაფერი, ზოგჯერ ბოდვაა,
საქმე კეთილი ჩანს, არა ქონება.
წარსულთ საძირკველზე წმინდათ გამოზრდილ,
თოთო ვაზის მტევნის გემოს გამსგავსებ.
აწმყო ჟამია და ღმერთთან ვალმოხდილ,
ხალხზე მომლოცველ ანგელოზს გადარებ.
კვლავ გამიელვა სევდის პოეზიამ,
გრძნობა დარია, გული ამიჩუყა.
უკვე დამღალა კლიშე პროცესიამ
და მცირე დროით წარსულს დამაბრუნა.
ეს ემოცია მოყვას ვუწილადე,
გული დავუქარგე სუფთა შეგრძნებით.
დღეს ამ საღამოს მე დიდხანს ვუცადე,
რომ დაველოცე თუნდაც ტკბილი ენით.
მაგრამ არ გამოჩნდა, კარი დახურა,
გულიც ჩაკეტა შორეულ საზღვრებში.
დიდხანს არ იდარდო მითხრა ქალწულმა
და მომიხელთა ვნებიან მკლავებში.
ყურში ჩამესმის ჩურჩულით ნათქვამი,
ერთი ეპიზოდი განვლილ ცხოვრების.
უნდა დავუკრა მგზნებარედ ტამ-ტამი,
საჯაროდ ვამხილო მუზა გონების.

2013წ.

სარჩევი

Post Factum... 4
ბედნიერები ვერ წერენ ლექსებს... 5
დროის წიაღში 6
“სიქსტეს მადონა” 7
გენიოსების საყდარი 8
ეკვატორს გასცდა... 9
ვიღაცა ვიღაცის... 10
ძილის სამეფო 10
სი-ბე-რე... 11
დუმილმა დაიწყო როკვა 12
ფოთოლცვენა 15
ფრანგული კოცნა 16
მონანიება 16
ჩემს დროს... 17
ლექსის სტროფებად მოვალ... 18
შემოდგომაა, დედოფლობაა... 19
დარაბებს მიღმა... 20
... კიდევ მინდოდა, მსურდა... 21
განწყობის აკაციები 23
იღბლის დირიჟორმა განმიცხადა... 25
ექო წარსულიდან... 26
შეგრძნება ერთხელ... 28
შეზღუდული აგრესია 28
ოთარ ჭილაძეს 29
ერთი ისტორია... 31
სამყაროს გენი 32
ფიქრების ტრანსში 33
სონატა... 35
EL DORADO... 36
მოზაიკა 37
უკვდავი ცეცხლი... 38
ქარის წისქვილი... 38
ATLANTIDA 40
პონტიფიკოსი... 43
მოჩვენებითი მზერა 45
ზღაპრის სამყარო 46
ნასახლარი 47
მე თქვენ დაგიტოვებთ... 48
ქანცგაწყვეტილ ცხენებს კლავენ... 49
ყრმობის წიაღში... 51
სიმართლის დრო 52
აღარც კი ვიცი, როდის იდარებს... 54
განცდა ათინათი... 55
მნათი სიკეთე... 56
რჩეულთა შორის... 57
ძალიან ბევრი... 58
მარადისობა... 58
ჩოხის რაინდი 59
არავინ არ თქვას... 61
სევდის პოეზია 62